ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N6

დაბა ქედა

27 აგვისტო, 2026 წელი.

სხდომა დაიწყო 15:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:45 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ნაზიმ ჩხეიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
ზვიად არძენაძე - კომისიის წევრი;
რამაზ ალიქაძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
თენგიზ ყადიძე - კომისიის წევრი;
დურმიშხან შავიშვილი - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი;
გივი ლორთქიფანიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მ.შ - ნესტან ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე;

მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურისზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - ეკატერინე ქაჯაია - კომახიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

27.08.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	გივი ლორთქიფანიძე	კომისიის წევრი	
4	ზვიად არძენაძე	კომისიის წევრი	
5	დურმიშხან შავიშვილი	კომისიის წევრი	
6	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
7	რამაზ ალიქაძე	კომისიის წევრი	
8	თენგიზ ყადიძე	კომისიის წევრი	
9	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **„2026 წელს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურისზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია - კომახიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა (განცხადების ნომერი: 12-95262393-95; განცხადების თარიღი: 27.08.2026) „2026 წელს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურისზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ეკატერინე ქაჯაია - კომახიძემ განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესისა (შემდგომში – წესი) და ფულადი ჯილდოს ოდენობის განსაზღვრა. წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ხორციელდება სპორტსმენთა წახალისების არსებული მექანიზმის გადახედვა და ფულადი ჯილდოების გაცემის სისტემის დახვეწა.

ფულადი ჯილდოს ოდენობები დიფერენცირებულია სპორტული შედეგის, სპორტის სახეობის, ასაკობრივი კატეგორიის, სპორტული ღონისძიების დონისა და დაკავებული საპრიზო ადგილის მიხედვით.

ფულადი ჯილდოს მიღების შესაძლებლობა გათვალისწინებულია აგრეთვე იმ მწვრთნელებისთვის, რომელთა მიერ მომზადებულმა სპორტსმენებმა შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში საპრიზო ადგილი დაიკავეს.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისია მიზადშეწონილად მიიჩნევს განხილულ იქნას „„2026 წელს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი“ წარმოდგენილი სახით საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 15:45 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ნაზიმ ჩხეიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ნანა ბერიძე